

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინიტრის
ბრძანება №3/44

2006 წ. 23 თებერვალი

ქ. თბილისი

ქ. ზუგდიდში “დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსისათვის”
კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

“დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსისათვის” ისტორიული და
კულტურული მნიშვნელობიდან გამომდინარე, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ბ” ქვეპუნქტის, მე-16 და მე-18 მუხლების
საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ქ. ზუგდიდში “დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსი” შეტანილ იქნას
უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭოს კულტურის უძრავი ძეგლის
სტატუსი დანართში მითითებულ საზღვრებში.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, უმოკლეს ვადაში
წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა “დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსი”-
სათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.

3. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს მოამზადოს “დადიანების
ბაღისა და სასახლეთა კომპლექსისათვის” „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
შესახებ” საქართველოს კანონით და „უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ფორმის, მათი
შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების შესახებ დებულების დამტკიცების
თაობაზე” საქართველოს კულტურის მინისტრის 2003 წლის 22 ივნისის ბრძანებით,
კულტურის უძრავი ძეგლისათვის გათვალისწინებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

4. ძალადაპარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის მინისტრის 2005 წლის, 11 ნოემბერის №3\556 ბრძანება.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს –
ნიკოლოზ ვაჩეიშვილს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი
თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროვეას ქუჩა
№7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში
(მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა).

მინისტრი

გ. გაბაშვილი

დანართი
საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2006 წლის 23 ოქტომბრის
№ 3/44 ბრძანებაზე

დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსი

